№ 268 დეკემბერი 20, კვირა 1887 დეკემბერი 20, კვირა № 268



| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის საagენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 19 დეკემბერი

ვის არ წაგიკითხავთ ჩვენი აქაური რუსული გაზეთი „Кавказъ“-ი, გირჩევთ წაიკითხოთ. სულ კი არა, — ღმერთმა დაგიფაროთ ამისთანა სატანჯავისაგან. ჩვენ გირჩევთ წაიკითხოთ მარტო № 332, ისიც მთელი ნომერი არა, — ესეც საკმაოდ სატანჯავია — მარტო მეორე გვერდის მეექვსედის ნახევარი. ეს-კი სწორედ სასაცილოა. ჭკვა-დამჯდარი, დარბაისელი „Кавказъ“-ი, თუმცა ყოველთვის სასაცილოა, მაგრამ ძნელად გაიცინებს ხოლმე და თუ გაიცინა, ისე გაიცინებს, რომ მართლა სიცილია.

მას აქედ, რაც ამ ბებერს გაზეთში ერთის ჯურის პუბლიცისტი დაიბუდა და ბინა გაიკეთა, ახირებული მასხარაობა დაიწყო გაზეთმა. ეს მასხარაობა მთელმა რუსეთმა შეჰნიშნა და მარტო ამას ჰკვირობდა, რომ თვითონ „Кавказъ“-ი თავის მასხარაობას წარბ-შეკრულს ჭკვიანობას ეძახდა. თქვენ რა იციოდ, შეუთვალა „Кавказъ“-მა იმის მიერ გაცებულს მწერლობასა: თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო. აიგდეს სასაცილოდ „Кавказъ“-ი, მაგრამ „Кавказъ“-მა ყურიც არ შეიბერტა: გენიოსებს სიკვდილის შემდეგ იცნობენ ხოლმეო, — მოიცადეთ, ჯერ დავიხოცნეთო!

ღმერთმა ნუ ჰქმნას. შორს თქვენგან ავი თვალი, იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ სადიდებლად... ნეტა ვის სადიდებლად? ჩვენ არ ვიცით, და მაინც ღმერთსა ვთხოვთ იცოცხლონ მრავალ ჟამიერ. რას ბრძანებთ? რომ ესენი აღარ იყვნენ, ვინღა გვეტყოდა იმას, რაც „Кавказъ“-მა 332 ნომერში სთქვა!

აი საქმე რაშია: ბ-ნმა ზელინსკიმ თურმე ერთი საშინელი ჭორი მოაჭორა: ვითომც ქართველი ქართველი არისო. აბა „Кавказъ“-ის მეცნიერი პუბლიცისტი რას დაანებებდა თავს ამისთანა ჭორსა... ამან არც აცივა, არც აცხელა და ასე უკიჟინა წყევა-კრულვით მეჭორესა:

> Авторъ... дѣлаетъ, какъ мы сказали выше, обобщенія преждевременныя и неимѣющія достаточныхъ основаній. Такъ, напримѣръ, онъ устанавливаетъ рубрику Картвельскій или Иверійскій народъ, который **отождествляется** имъ съ грузинами (დახე, რა ჭორი მოუგონია ბ-ნს ზელინსკის!) и далѣе причисляетъ къ послѣднимъ имеретинъ (ეს რა მოსვლია ზელინსკის,—განა Кавказъ-о!..) мингрельцевъ, хевсуръ, сванетъ და სხვანი და სხვანი.

რას იტყვით ამაზედ? მართლა-და ბ-ნს ზელინსკის ეს რა ჭორი მოუგონია, რომ ქართველი ქართველიაო. მერე როგორ? ეს წიგნშიაც დაუბეჭდია, წიგნში! ჭორი ხომ ჭორია, მაგრამ ეხლა დააკვირდით რა სიბრძნეა, რა ლოღიკაა, რა ჭკუა-დამჯდარი მეცნიერებაა „Кавказъ“-ის პუბლიცისტისაგან...

> Совершенно также преждевременно причислять, напр., сванетъ и мингрельцевъ, равно и многія другія племена (ლაგალოთებს, კახელი, ქართლელი, ქიზიყელი, ხევსურ-ფშაველი, გურული, იმერელი განა?) къ грузинамъ. Если между ними и послѣдними и являются можетъ быть нѣкоторые сходные обычаи, слова, то этого недостаточно еще для такого заключенія. Напротивъ, эти племена, равно и многія другія (ლეჩხუმელი, ხევსური, ქართლელი, იმერელი, გურული, ქიზიყელი და სხვანი განა? ხაშუსტა!) представляютъ такія рѣзкія отличія типа и языка и даже обычаевъ и національнаго костюма, что ихъ никоимъ образомъ нельзя причислять къ грузинамъ.

როგორ მოგწონთ ეს „კოსტიუმების“ თეორია? თუ „კოსტიუმების“ თეორიას გავყვებით, არა გვგონია თვითონ „Кавказъ“-ის ბედნიერი პუბლიცისტი გამოდგეს იმ თესლისა, რა თესლსაც თვითონ ეკუთვნის.

არა, ბ-ნო პუბლიცისტო! ამ ჯაგლაგ თეორიით შორს ვერ წახვალთ და თუ მაინც-და-მაინც დაიჟინებთ, იქამდე მიხვალთ, რომ ტულის გუბერნიის გლეხ-კაცსაც ჩამოართმევთ რუსობას, იმიტომ-რომ ტულის გუბერნიაში სხვა ნაირ ქუდებს ატარებენ და მოსკოვისაში სხვა ნაირს. ეგ ახალი გაზანდრის ადლი აგიღიათ ხელში და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ; ჩვენ-კი მაგით ვერას გაგვაზომინებთ.

„Кавказъ“-ი ჰკიცხავს ბ-ნს ზელინსკის, რომ ჯერ ადრეა იმისი თქმა, ვითომც ქართველი ქართველი იყოსო, და ჩვენ-კი „Кавказъ“-ის მეცნიერს პუბლიცისტს ვეტყვით: ბ-ნო, გვიანღაა იმისი თქმა, რომ ქართველი ქართველი არ არისო.

დავანებოთ თავი ამ სასაცილო ამბავს. განა ამისთანაებს განმარტება-ღა უნდა და ამაზედ მეტად კვალში ჩადგომა! რაც უნდა ზიზილ-პიპილებით მოირთოს, როშვა მაინც როშვაა.

ისა სჯობია, ზურგი შევაქციოთ ამ განკერძოებულ ამბავსა და საზოგადო ჭირი ეხლანდელის დროებისა აღვნიშნოთ.

---

ვის არ გაუგონია ერთი სასაცილო ზღაპარი ჭალაში მომკვდარის ჩიტისა, რომელიც არც დიდს ქვაბში ეტეოდა და პატარაშიაც ლაღე იყო. სწორედ ამ ჩიტის ამბავი დაემართა ადამიანის ჭკუასა და ლოღიკასა ჩვენს დროში: აღარც დიდ თავში ეტევა და პატარაშიაც ლაყეა, თუ ლაღეა. რაებს არა ჰბოდვენ? რაებს არა ლაყბობენ?

რა დაემართა ადამიანს? არ ვიცით. უჭკონი, ულოღიკონი, სულელნი განა წინად-კი არა ყოფილან, მაგრამ სულელს თავის დღეში სულელი ჰრქმევია და ყური არავის უთხოებია. ეხლა-კი სულელობას თითქო კაი ბაზარი აქვს, თითქო კაი ფასად გადის და ვისაც ეს განძი ბლომად ჰქონია, საპალნეებით ზედი-ზედ ეზიდება გასასაღებლად, თითქო დროს ეხარბება, მაზანდა არ წაჰხდეს, ფასი არ დაჰკვარდეს და არ დავიღუპოვო.

სულელობა ხომ სულელს ექმნება და საკვირველი ეს არის, — სულელს იმოდენა გონიერება ვინ მისცა, რომ ასე ეშურება თავისის განძის გასაღებას. რაკი ეშურება, სჩანს იცის, რომ სულელობის ბაზარს დიდი ხანი არა აქვს და რაკი ეს იცის, სჩანს სულელი მთლად სულელი არა ყოფილა. მაშ რა ხათაბალა ამოქმედებს ამისთანა კაცს? თუ მთლად სულელი არ არის, მთლად რადა ჰსულელობს? აქ მარტო ერთი პასუხია: ან სხვის სულელობა აქეზებს, ან სხვის გასულელებასა ჰცლამის და ამით მუშტრის შოვნასა. რაც გინდა სთქვით და არც ეს არის მთლიანი სულელობა. აქაც ანგარიშია და ანგარიში შეუცდომელი. ამისთანა გამბედაობა დღეს თანხაა და თანხას ტრიალი უნდა, რომ სარგებელი

## ფელეტონი

〰〰

### ქართველთა შორის

კაცი კაცისთვის მგელიაო.—სახელ-განთქმული „დეპუტანტები“.—ტფილისის თვით-მმართველობა.—პატარა ნაფოტი ცხოვრების მორევზე.—საკუთარის არსებობის უარ-ყოფა.—უაზრო „ღლასნობა“.

ქალაქების თვით-მმართველობა რომ შემოიღო მთავრობამ, აზრად ისა ჰქონდა და საზოგადოებაც იმას ელოდებოდა, რომ მოქალაქეთ თვითონ განაგონ საკუთარი საქმენი, რადგან მათთვის უფრო აშკარაა ქალაქის საჭიროებანი და უფრო გულიც შესტკივათ იმის ავ-კარგიანობაზედ. მართალიც გამოდგა ეს მოსაზრება. მოქალაქეთა უმეტესმა ნაწილმა ყველგან გამოიჩინა შესაფერი მზრუნველობა დედა-ქალაქის კეთილ დღეობისადმი. მართალია, თითო-ოროლა მახინჯმა მაგალითმა ყველგან იჩინა საზიზღარი თავი, მაგრამ ასეთი მაგალითები არსად არ იყვნენ საშიშარნი. თვით ის ძლევა-მოსილი საშუალება, რომელსაც ხმოვანობა ჰქვიან, ისეთი ყოვლად შემძლებელი იარაღია, რომელიც მუდამ წარმატებით ებრძვის წინდაუხედავ ფლანგვას საზოგადოების საკუთრებისას და სდევნის ამ მხრივ ყოველ გვარ გაიძვერაობას იქამდის, სანამ ძირიანად არ ამოაგდებს იმის მავნე ზედ-მოქმედებასა.

მანამ საზოგადოება ერთობ ძრიელ არ დაწინაურდება და თვითოეული წევრი იმისი არ მიაღწევს სრულს განათლებას გონებისასა და ზნე-ჩვეულებისას, — ვიდრემდის ისეთი ჰაერი არტყია შუათანა კაცსა გარშემო, რომ იმისთვის საკუთარი პიროვნება და ინტერესი მკვიდრად ჩასხმული კერპია, რომელსაც იგი ემსახურება და მუხლ-მოდრეკით თაყვანსა სცემს, — ამავე დროს მისთვის თითქმის არ არსებობს საზოგადოება და იმისი საჭიროებანი. ასეთს კაცს საზოგადოება იმიტომ უნდა მხოლოდა, რომ აჰგლიჯოს და აჰკრას რამე. ის მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ „კაცი კაცისთვის მგელიაო“, და ამიტომ მგლურის თვალითაც უყურებს მეზობლის ავლა-დიდებასა. თუ-კი როგორმე მოახერხა და დაუსჯელად ჩაჰკიდა კლანჭი სხვის სარჩოსა, აგეთს შუათანა კაცს არც იმოდენა სინიდისი მოეპოვება, რომ პირიდამ გაუშვას-ღა მეზობლის ლუკმა, და არც იმოდენა თავ-მოყვარეობა აქვს, რომ ითაკილოს სხვისის ოფლით პარპაში ცხოვრების მოედანზედ, და ან ამაყობდეს იმითი, რომ იგი მარტო საკუთარის გამრჯელობითა და ხელ-გამომაველობით ჰოულობს სარჩოს ცხოვრებისათვის.

სადაც ასეთის შეხედულობით არის მოხიბლული ჰაერი, რომელსაც თვითოეული წევრი საზოგადოებისა ცალკე და ყველანი ერთად ისუნთქვენ, იქ არა კმარა სიტყვიერი ქადაგება პატიოსნებისა და ადამიანურის მოქმედებისა შინაურ თუ გარეთა ცხოვრებაში. იქ უთუოდ საჭიროა ისეთი დაწესებულებანი, სადაც ყველას შეეძლოს კვალში უდგეს თავის მოძმესა და თვალ-გაფაციცებული უყუროს, რომ უკანასკნელმა არა გააყოლოს-რა ხარბსა და გაუმაძღარს ხელსა.

**

ერთი ამისთანა დაწესებულებათაგანი არის ქალაქის თვით-მმართველობა, რომელსაც საგნადა აქვს ინაღვლოს ქალაქის კეთილ განწყობილებაზე, რამდენადაც-კი მოქალაქეთა შეძლება მხარს მისცემს ამ საქმეში. ხსენებულ დედა-აზრის განსახორციელებლად მოქალაქეთა მინიჭებული აქეთ უფლება თავიანთ შორის აირჩიონ ისეთნი, რომელნიც უმეტესობას მიაჩნია სანდო კაცებად.

რა თქმა უნდა, სადაც მგლური ინსტიქტები ძვალსა და რბილშია გამჯდარი, იქ ადვილი საქმე არ არის პირდაპირ მიაგნო სანდო კაცსა, რომელიც არა თუ სხვა-და-სხვა ხრიკებს არ გამოუდგება, რომ საზოგადოების ქონებას ჩამოათალოს გვერდი და დაისაკუთროს, არამედ თანაც მხნე და მცოდნე ადამიანია, და არ დაჰზოგავს არც თავის მხნეობას და არც ცოდნას, რომ სანაქებოდ გაუძღვეს წინ ქალაქის საჭიროებასა.

მაგრამ აკი ვამბობთ, ამ დაწესებულებას ისეთი მადლიანი თვისება აქვს, რომ თვით მგელსაც-კი ამოსდებს ლაგამს, შეუკრავს პირსა და ისეთს ძალას მიიტანს იმის შეხედულობაზე, რომ ნება-უნებურად უნდა ზნე-ჩვეულება გამოიცვალოს, თუ საჭიროდ მიაჩნია თავისადმი ყურადღება და პატივის-ცემა საზოგადოებისა.

ასეთი ღირსება აქვს ხსენებულს დაწესებულებას და ამიტომაცა ვხედავთ, რომ საქართველოს ქალაქები, რომელნიც მოკლებულნი არიან თვით-მმართველობას, მაგალითად, სიღნაღი, თელავი და სხვანი, ასე უკან ჩამორჩნენ საზოგადო საქმეთა თაოსნობაში. მოქალაქენი იხდიან ხარჯსა, რა არის ჩვენი ქალაქიც მართლა ქალაქს დაემგზავსოსო, პატარა რიგიანად მოეწყოს ქუჩები, ჯეროვან საძირკველზედ აშენდეს ჩვენის შთამომავლობის სწავლა-განათლება და სხვა მრავალი საჭიროებანიო, მაგრამ ქუჩები სანაგვეს წარმოგიდგენენ, სასწავლებელთ მარტო სახელი-ღა აქეთ და სახრავი-კი იქიდამ არა ჩანს-რა და სხვანი.

მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ის არის, რომ იქ მოქალაქეს არ შეუძლიან გამუდმებით თვალ-ყური ადევნოს „დეპუტანტთა“ მოქმედებასა. მოქალაქეს არავინ-რასა ჰკითხავს. ეუბნებიან მხოლოდ — ფული შემოიტანე, თორემ ეგეც წაგერთმევა და ჯარიმაც გადაგხდებაო. იმასაც შეაქვს გადასახადი, მარტო იმიტომ, რომ ჯარიმას მაინც დაჰპსხლიტოს თავი. რას მოახმარებენ ამ ფულსა, რომელ სატკივარს დაადებენ მალამოს, ამისი არა ეკითხება-რა მოქალაქეს. ეს დეპუტატის საქმეა.

**

განსხვავება თვით-მმართველობიან და „დეპუტანტიან“ ქალაქთა შორის ისეთი აშკარაა, რომ ამაზედ ლაპარაკი არც-კი ღირს. არც იმის დამ-

აიღოს, იბღარტოს, იმატოს. კაი ხელობაა და ნუ გგონიათ-კი, რომ სუბუქი ხელობა იყოს.

აქ კაცმა სინიდისიც უნდა დაივიწყოს, ნამუსიც უნდა მჩვარში გამოჰკრას, პატიოსნებაცა ჰგმოს, ერთის სიტყვით, ყოველს ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას უნდა გადუდგეს და ამ ხელობას ისე მოჰკიდოს ხელი. ხუმრობა ნუ გგონიათ ასე სამარცხვინოდ თავის გაწირვა, ასე გაბიაბრუება, გაუპატიურება საკუთარის თავისა, საკუთარის კაცობისა. ამასაც ღონე უნდა, მართალია, ღონე საზიზღარი, თავ-ლაფ დასხმული, შემაძრწუნებელი, მაგრამ მაინც ღონე. ვაი რომ ამისთანა ღონესაც ფასი აქვს და მუშტარი ჰყავს!

## ახალი ამბავი

† ამ რამდენისამე კვირის წინ ქ. ასხაბადში გარდაიცვალა სტეფანე გრიგოლის ძე მელიქიშვილი, რომელსაც საკმაო ღვაწლი მიუძღვის ჩვენის მწიგნობრობის წინაშე. განსვენებულმა დააარსა თავისის ხარჯით სტამბა და იყო პირველი გამომცემელი გაზეთ „დროებისა“, რომელსაც უსასყიდლოდ ბეჭდავდა, ვიდრე გაზეთი ბ-ნ ი. მაჩაბლის ხელში გადავიდოდა. ქართული ასოები წინად ვერ იყო საკმაოდ ლაზათიანი. ამიტომაც სტეფანე მელიქოვმა საზღვარ-გარედ გააკეთებინა ახალი ყალიბები და ჩამოასხმევინა სხვილი რგვალი ასო, რომელსაც სტამბებში დღესაც მელიქიშვილის ასოს უწოდებენ.

შევიწროებულ მდგომარეობისა გამო, სტეფანე მელიქიშვილმა დაანება თავი სამშობლო ქალაქ ტფილისს და 1880 წელს წავიდა ახალთეკეს ბედის საცდელად. მაგრამ არც იქ გაუღიმა ბედმა და თითქმის სიღარიბეში გამოესალმა უმადურს სოფელსა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ქართველო კაცო, რომელმაც არ დაიზოგე შენი წვლილი სამშობლოს სამსახურში!..

*** ამ ხანად ტფილისში იმყოფება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი, რომელიც ჩამობძანდა ჩვენს ქალაქში 18 დეკემბერსა.

*** ამ დღეებში დაიბეჭდა და მალე გამოვა გასაყიდად ახალი ორიგინალური მოთხრობა ქართულს ენაზე, სახელად „სამი სხვერპლი“, თხზულება ბ-ნ დ. კარიჭაშვილისა. წიგნი შეიცავს 80 გვერდს შუათანა ფორმატისას და ღირს 30 კ.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთს ქართველს განუზრახავს საყმაწვილო ჟურნალის დაარსება და უკვე თხოვნაც გაუგზავნია ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოში.

*** 18 დეკემბერს, შუა-ბაზარში, ვიწრო ქუჩაზე, გაჩქარებით მიაქროლებდნენ ფაიტონსა. ტროტუარზე სივიწროისა გამო ერთს მანდილოსანს ფეხი გადუსხლტა და წაიქცა. გამალებული ფაიტონი ვერ შეაჩერეს და წაქცეულს მანდილოსანს ზედ წელზე გადაუარა.

*** ზაქათალის მაზრის სოფელს კაკში ინგილოები დღითი-დღე ღარიბდებიან. ამის გამო ხარჯის მოკრეფის დროს მცხოვრებელთა შორის აყალ-მაყალი მეორედ მოსვლის დღესა ჰგავს. ამ შფოთვასა და ღელვას ის მიზეზი გამოიწვევს ხოლმე, რომ ღარიბებს სახელმწიფო ხარჯის მიცემა არ შეუძლიანთ და სამაგიეროდ უნდა აძლიონ იმათ, ვინც მდიდარნი არიან. ღარიბთა რიცხვი, რომელთა წილ-ხდომილ ხარჯს იხდიან შეძლებულნი გლეხნი, ამ ჟამად არის 55 კომლი. მომავალ წლისათვის ამ რიცხვს ერთი უკვე მიემატა. მიზეზად შეიქმნა კაცის-მკვლელობა და სახლ-კარის დაწვა.

*** სვანეთიდგან: სოფელს მესტიაში ერთი საცოდავობა მოხდა. აქაური გლეხი, წვრილ-შვილისა და მოხუცებულის დედ-მამის პატრონი, თაისავ ნილერიანი, მოჰკლეს ღამე თავის სახლში. აი საქმე როგორ ყოფილა; როდესაც ვახშამი გაათავეს და ყველანი წავიდნენ დასაძინებლად, თაისავი (თავის ცოლით) ისევ იჯდა ცეცხლაპირას სვანურ ერესლაზე, და ცოლი წყალს უთბობდა ფეხების დასაბანად; ამ დროს გავარდა თოფი, საცოდავს უკან ბეჭებში მოხვდა და ტყვიამ ძუძუში გაუარა. თაისავი წამოხტა, ორი ნაბიჯი გადადგა და წაიქცა; ერთი-კი დაიძახა და იქვე სული დალია. ცოლის ტირილზე და თოფის ხმაზე მოცვივდნენ ყველა მეზობლები. ამ დროს მოვიდნენ ახალი პრისტავი, თავადი დადეშკელიანი, და იმისი ახალი თანაშემწე, ნ. გაბარაშვილი. პირველს დღეს ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ გაიგეს, ვინ იყო თაისავის მკვლელი, მეორე დღეს-კი აღმოაჩინეს და კიდეც დაიჭირეს მკვლელი, საბრალო თაისავის ძმის-წული, გიორგი ნილვრიანი. გიორგი ნილვრიანმა გამოაცხადა, რომ ბიძაჩემი მოვკალიო იმიტომ, რომ თაისავის ცოლსა, თეთრუას, ვყვარობდიო და თეთრუა მეხვეწებოდა, ჩემი ქმარი მოჰკალი და ცოლად შემირთეო.

დამნაშავე გიორგი ნილვრიანი და თაისავის ცოლი თეთრუა გამომძიებელს წარუდგინეს. გამომძიებელმან გიორგი ნილვრიანი ქუთაისის საპყრობილეში გაგზავნა, მხოლოდ თეთრუა-კი თავდებობით გაუშვა.

ამ მოკლე ხანში რამდენიმე შემთხვევა იყო სვანეთში ამ გვარის ჩუმის მკვლელობისა, მაგრამ დამნაშავენი დღემდის ვერ აღმოუჩენიათ.

*** ცხინვალიდგან: მას აქეთ, რაც ჩვენში ურიები დახოცეს, ყოველ ღამე რიგით უნდა გამოსულიყო სამოცი კაცი, რომ ავაზაკობისათვის ბოლო მოეღოთ, მაგრამ დღე და დღე მატულობს ავაზაკობა, კაცის-კვლა, ცარცვა და გლეჯა. მაგალითად, ამ ორს კვირაში დუქანი გასტეხეს ტერ-სიმონოვისა, სახლი გასტეხეს ქეხნაშვილისა, დაარჩვეს ალალო ხოჯაევი და წყალში გადააგდეს. ასეთი გავრცელება ავაზაკობისა იმას უნდა მივაწეროთ, რომ სამოცის კაცის მაგიერ ექვსი კაცი თუ გამოვიდა, ისიც კარგი.

*** ნუხიდგან: ამას წინად ს. ვართაშენში გადმოიტანეს ორ კლასიანი სასწავლებელი დაბა ბუმიდგან. მიზეზი სასწავლებლის გადმოტანისა, როგორც ამბობენ, ყოფილა შემდეგი გარემოება. მთავრობას იმ თავითვე ნდომებია ს. ვართაშენში სასწავლებლის გამართვა, მაგრამ მცხოვრებლებს უარი უთქვამთ, ჩვენ სასწავლებლის შენახვა არ შეგვიძლიანო; თუმცა-კი ვართაშენის მართლ-მადიდებელნი (ქართველები) ამბობენ, რომ ჩვენ სასწავლებელი გვინდოდა და კიდეცა ვცდილობდით, მაგრამ ჩვენმა მეცადინეობამ, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, ფუჭად ჩაიარაო და სასწავლებელი მთავრობამ გამართა დაბა ბუმშიო. შემდეგ ამისა, ვართაშენში სომხებმა გამართეს თავიანთი სასწავლებელი და თათრებმა და ებრაელებმაც თავიანთი; დარჩნენ მხოლოდ უსასწავლებლოდ მართლ-მადიდებელნი—სამას კომლზედ მეტი. უკანასკნელთ, ვინაიდგან მეტი საშუალება არა ჰქონდათ, მოინდომეს შვილების მიცემა სომხის სასწავლებელში, მაგრამ აქ უარი უთხრეს,—ჩვენ მართლ-მადიდებელთა შვილებს არ მივიღებთო. მაშ, უფიქრიათ ქართველებს: ჩვენ ერთი-ღა საშუალება დაგვრჩენია, უპატრონობის გამო, რომ გავსომხდეთ და კიდეც დაუწყიათ გასომხება და შვილების სომეხთა სასწავლებელში ძლევა... ეს გარემოება გაუგიათ ნუხის ქართველებს და გაზეთისა და თუ სხვა საშუალების შემწეობით უთხოვნიათ მთავრობისათვის თავიანთის სურვილის განხორციელება. მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ ამბავს, სასწავლებელი გადმოიტანა ს. ვართაშენში და ამ საშუალებით დაიხსნა მართლ-მადიდებელნი გასომხებისაგან. ეხლა ვისურვოთ, რომ ამ გარემოებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ.

## რუსული თეატრი

„Мертвая петля“, დრამა 5 მოქმედებად, პოტეხინისა.

18 დეკემბერს რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა პოტეხინის დრამა, სახელად „Мертвая петля“. ეს პიესა, როგორც სხვა პიესებიც ამ ავტორისა, საუკეთესო პიესად ითვლება რუსულს რეპერტუარში. პოტეხინის პიესები საზოგადოდ ძალიან მოსწონს რუსეთის საზოგადოებას და დიდის სიამოვნებითაც დაიარება თეატრში ამ მწერლის დრამების სანახავად. ამისი მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ ავტორს ერთი სანაქებო ზნე სჭირს,—თავის პიესებში მუდამ რამდენიმე მადლიანი და გაუფუჭებელის ზნე-ხასიათის კაცი გამოჰყავს, გარემოებათა გამო გატანჯული, და გადაუჭარბებლად, სინამდვილით ამოქმედებს ცხოვრებაში, რომელიც საკმაოდ მოხერხებულის ხელოვნებით დაწნულია და მოქსოვილი დრამად.

მოგვყავს მოკლედ შინაარსი 18 დეკემბერს წარმოდგენილის დრამისა: მაღალ საზოგადოების ქვრივს, გვარად კრამალინას, ფრიად მდიდარსა და ლამაზსა, უყვარს გაგიჟებით ახალგაზდა, ხელობით მკურნალი, ფრიად პატიოსანი და განათლებული კაცი. საუბედუროდ, ყმაწვილ-კაცს სრულიად შემთხვევით გაუცვნია ეს ქვრივი და, თუმცა დიდად დაახლოვებია, სიყვარულით-კი არ უყვარს და გული სრულიად სხვაზე აქვს შევარდნილი. ეს სხვა არის ზაპოლიევის გასათხოვარი ყმაწვილი ქალი, დიდის შრომის მოყვარე, გაგებული და ნასწავლი ადამიანი. ქვრივმა მხოლოდ ეჭვით იცის, რომ იმისი სატრფო სხვას ევლება თავს, სხვისთვის უცემს გული. აი, ამ დროს გაჩნდება ბოროტი სული ეხლანდელის გასალახანებულის ადვოკატის სახით. ეს ბოროტი სული გადაკვრით აცნობებს ქვრივს, რომ შენი სატრფო სხვას

---

ტკიცება საჭირო, რამდენად მაღლა სდგანან პირველნი მეორეებზე. და თუ ჩვენ დღეს ამაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელ დროს ბევრი სამდურავი გაისმის საზოგადოებასა და მწერლობაში თვით-მმართველობის დედა-აზრზე. ეს სამდურავი წარმომდინარებს იქიდამ, რომ თითო-ოროლა ამორჩეულმა კაცმა ვერ გაამართლა მოქალაქეთა იმედი, მომზადებული ვერ გამოდგა საზოგადო საქმის სამსახურისათვის და ზოგმა რაღაც უსინიდისობაც ჩაიდინა.

თუ ზემოდ ნათქვამს გავიხსენებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ დაწესებულება არას შუაშია. ამორჩეული კაცი ვერ გამოდგა შესაფერი, იმიტომრომ მგლურის თვალით უყურებდა საზოგადოების ქონებასა. თვითონ ამომრჩეველნი უნდა გაფრთხილებულიყვნენ და ღირსეულის კაცისათვის ჩაებარებინათ თავიანთი საქმე. რაკი ქალაქს უნდა, რომ თავისი კეთილდღეობა წარმატების გზაზე დააყენოს, კაცებიც სათუთად უნდა შეურჩიოს ამ საქმესა. თუ ერთი არ გამოდგა, უთუოდ იმაზე უკეთესს უნდა ჩააბაროს ხელი. ამ შემთხვევაში ქალაქი სრულიად თავისუფალია და ვერცავინ იტყვის, რომ შესაფერ მოხელეთა ამორჩევა შეუძლებელი იყოს რიგიან კაცთა უქონლობისა გამოვო. თვით დაწესებულება თხოულობს აუცილებელ რიგიანობას და კიდევაც შეჰქმნის და დაჰბადავს ამისთანა კაცებსა.

გეხსომებათ, რა ნაირი ხმოსნები ჰყვანდა თვით ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისს ამ რამდენისამე წლის წინად. იშვიათად მოხდებოდა, რომ საბჭოს კრებას კანონიერი რიცხვი ხმოსანთა დასწრებოდა, ამიტომ საქმე მუდამ გადაიდებოდის მეორე კვირისათვის. მაშინ რამდენიც უნდა დასწრებოდა, იმათი გარდაწყვეტილება კანონიერი იყო. რასაკვირველია, იმ დროს ქალაქის საქმე კარგად ვერ წაიდოდა და არც მიდიოდა კარგადა. ხელებს ითბობდენ მოხერხებული მოქალაქენი და თვით ქალაქი-კი პირში ჩალა-გამოვლებული რჩებოდა ბევრშია.

სრულებით გამოიცვალა სურათი ამ ბოლოს დროს და იმედია, რომ უფრო უკეთესი მერმისი უდგა წინ ჩვენს ქალაქსა. მაგალითად, წელს შემთხვევა არა ყოფილა, რომ ხმოსანთა მოუსვლელობით საქმე შემდგარიყოს. ჯერ ესეც კაი ღვთის წყალობაა ჩვენთვის. ეს ამბავი გვიმტკიცებს, რომ ქალაქი გამოიცადა ხმოსანთა არჩევანში და ისეთი კაცები დასხა საბჭოში, რომელნიც მზად არიან ემსახურონ ქალაქის წარმატებასა. მეორე მხრივ, დღევანდელი სია ტფილისის ხმოსანთა გვაჩვენებს, რომ ამომრჩეველნი უპირატესობას აძლევენ უფრო მცოდნე და განვითარებულ კაცებს, ვიდრე მეადლნე და მესასწორე ვაჭრობას, რომელიც მუდამ გამზადებულია სასწორი თავისკენ გადაზნიქოს.

ამითი, რასაკვირველია, მე არ ვამბობ, ვითომც დღევანდელ ხმოსნებზე უკეთესი არ მოიძებნება-მეთქი. ღმერთმა დამიფაროს ამისთანა სიცრუისაგან. პირ-იქით, მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ იმათში ურევიან ისეთნი, რომელთაც სრულიად არ ესმით თავისი წმინდა მოვალეობა ქალაქისადმი, არ არიან მომზადებულნი ამ სამსახურისთვის,—მაგრამ უმეტესობას მაინც ეყურება თავისი მოვალეობა და ცდილობს, რომ შეძლებისამებრ გადაელოთოს გზაზე იმისთანა საქმეს, რომელსაც აზრად მიუძღვის კერძო კაცის მგლური თვალი, საზოგადოების დოვლათისაკენ სიხარბით მიპყრობილი. უეჭველია, შემდეგი თობა ხმოსნებისა უფრო და უფრო რიგიანად და შესაფერად მოემზადება ამ წმინდა სამსახურისათვის და ტფილისი უფრო მკვიდრად დადგება წარმატების გზაზედ, უფრო დიდსა და სასარგებლო საქმეს შეეჭიდება და კიდევაც თავს მოიყვანს.

**

საუბედუროდ, ამ მხრივ დიდად უკანა დგას ჩვენი მშვენიერი და კეკლუცი ქუთაისი, რომელსაც რიგიანი მეთაურობა სწორედ სამოთხედ გადააქცევდა. მაგრამ რასა იქთ, როდესაც ქუთაისის ამომრჩეველნი „დასდასად განიყოფებიან და სამი კაცი ჰყავთ მოთავეებადაო,—გვწერს ჩვენი მოამბე—ეს სამი კაცი, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „ქუთაისის დოქები“, განაგებენ ქალაქის ყველა საქმეებს. ამის სურვილსა და თავმოყვარეობას ვერც გამგეობა და ვერც სხვა ვინმე გადაელობება წინ“. შემდეგ განაგრძობს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ ზოგმა ხმოსნებმა ახირებული სურვილი გამოიჩინეს: „უნდოდათ იმ განათლებულ ხმოსანთა გაძევება, რომლებიც საზოგადო საქმეში არავითარს კერძო, პირადს ინტერესებს არ დაეძებენ. მაგალითად, ბ-ნმა მიქიაშვილმა ასეთი წინადადება შეიტანა: „ყველამ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთნი მხოლოდ იმისთვის იხდიან სავაჭრო გადასახადსა, მანეთ ნახევარსა, რომ უფლება ჰქონდეთ საბჭოში ამორჩევისა, თორემ იმათ ფიქრადაც არა ჰქონიათ ვაჭრობა. ამ ნაირ კაცებს უნდა ჩამოერთვათ არჩევანის უფლებაო“.

დედა-აზრი ასეთის წინადადებისა აშკარაა. რაც უნდა იყოს, განათლებული და ნასწავლი კაცი მაინც უფრო მორიდებით მოეპყრობა საზოგადო ქონებასა და ეცდება, რომ ქალაქის შეძლება მოხმარდეს ქალაქისავე მრავალ გვარ საჭიროებას. ამის გარდა, ნასწავლ მოქალაქეს ესმის, რომ ქალაქის კეთილ-განწყობილება სასარგებლოა თითონ მოქალაქეთათვისაც, და თუ ღონე მოსდევს, არც დაჰზოგავს თავის მეცადინეობას. ამისთანა შეგნებული კაცები, რა თქმა უნდა, წინ გადუდგებიან სხვათა მგლურს შეხედულობასა, რომელიც თავის მხრივ ცდილობს სარმა უგდოს იმათა და მოიგდებინოს კასრიდამა...

უმეტესობა ქუთაისის ხმოსანთა ჯერ ისევ ისეთია, რომ იქ საზოგადო საქმის სინიდისიერი სამსახური მოგაგონებთ პატარა ნაფოტსა, რომელიც მოქალაქეთა ცხოვრების მორევს პირ-პირ მოუტივტივებია და ხან იქით გააქანებს, ხან აქეთ. ჯერ მაგდენად ვერაფერს სამსახურს გაუწევს ეს ნაფოტი ქალაქის კეთილდღეობას და თავის სუსტის ზურგით ვერ ატარებს იმ წარმატებას, რომელიც საგნადა აქვს ცხოველს თვით-მმართველობასა.

**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰხარისო. ქვრივს არა სჯერა ესა, ცილის წამებად მიაჩნია, მაგრამ მალე სხვა საბუთებიცა ჩნდება. რაკი კრამალინა ამ სხვა საბუთებსაც დაინახავს, გულ-შეწუხებული დაეცემა სავარძელზედ; გასალახანებული ადვოკატი ამ დროს ჩაიგდებს ხელში იმ ვექსილებს, რომელიც მკურნალს მიუცია ქვრივისათვის. როცა ყმაწვილმა კაცმა უკვე ჯვარი დაიწერა და მოტყუებულს ქვრივს შურის-ძიების წყურვილი ჰკლავს, კვლავ გაჩნდება ბოროტი და სალახანა ადვოკატი, რომელმაც ხეჩესპრობა იკისრა და დიდის მეგობრობით მოუხერხა ქორწილი თავის ამხანაგს მკურნალსა. ეს ბოროტი სული მოურიგდება ქვრივს, წარადგენს სასამართლოში ერთს თამასუქს და უნდა ფული გადაახდევინოს თავის ამხანაგს. ღარიბი ექიმი დიდს ტანჯვაშია, ვერ გადაუხდია ვალი ქვრივისა და ამის გამო იძულებულია ციხეში ჩაჯდეს. როცა ფულს იშოვის, გადაიხდიან ცოლ-ქმარნი, ადვოკატი შემდეგ მეორე თამასუქის წარდგენას ემუქრება და თან თავს იმითი მართლულობს, რომ მე აქ არაფერს შუაში არა ვარო. მე არ ავილებდი ამ საქმეს, ქვრივი მაინც სხვას მიანდობდა და სულ ერთი იქნებოდაო. გამწარებული და სასოება-წარკვეთილი მკურნალი (სამარინ-ბიხოვეცი) აქედ ეცემა, იქით ეცემა და ვერსად ვერა შოულობს საჭირო ფულს. ბოლოს გადასწყვეტავს, წავიდეს თავის უწინდელ საყვარელთან, იმ ულმობელ ქვრივთან და თავი შეაბრალოს როგორმე. ქვრივს ამ დროს დავიწყებული არა ჰყავს თავისი საყვარელი კაცი: წინანდელი სატრფო ჯერ აქამომდე კიდევ უყვარს, არა შორდება იმის ფიქრსა და გონებასა და საშინელი გრძნობა ეჭვისა ცეცხლს უკიდებს საბრალოს. ეს ცეცხლი ვერას გზით ვერ გაუქვრია, ცდილობს გაერთოს, გარყვნილების გზას დაადგეს, უარ-ჰყოს პატიოსნება, ზნეობა, მაგრამ სატრფოს სახე მაინც მოსვენებას არ აძლევს; სვამს შამპანიის ღვინოს და იმითი ჰფიქრობს თავი დავიწყებას მისცეს, მაგრამ ესეც არა შევლის. ერთად-ერთი ხსნა თავის მოკვლა-ღაარო, გაიფიქრებს გულში, იშოვნის საწამლავს და უნდა თავი მოიწამლოს, მაგრამ ამ ხანად ხელს შეუშლიან სტუმრები და წაიყვანენ გასართობად ბალში. პატარა ხანს უკან გაჩნდება იმისი საყვარელი კაცი, იმისი მწველი ექიმიცა. სახლში არავინ არის. საშინელმა ფიქრმა გაუელვა გონებაში ამ დროს ექიმს—ამ პატიოსანს კაცსა. ამ ფიქრმა შეიპყრო, დაატყვევა და გაბედვინა თამასუქის მოპარვა ყუთიდამ, რომელიც დაკეტილი იყო. სწორედ ამ დროს მოდის ქვრივიც და უძახის პოლიციას იმის შესაპყრობლად. ექიმის ცოლი ეხვეწება ქმარს: წავიდეთ აქედამ, ამ უგულო ქალს ნურას ნუ სთხოვო, მაგრამ გამშრალი, გაქვავებული იმისი ქმარი, ქურდობაში დაჭერილი ასე სამარცხვინოდ, ხმას ველარ იღებს. ვერა, ვერა, მაგას შენ-კი ვერ წაიყვან და პოლიცია-კი მოვა და წაიყვანსო, ამბობს ბოროტის სიხარულით ქვრივი. მაგრამ ქვრივს ცოლ-ქმარის ტანჯვა გულს მოულბობს, თავის სისასტიკეს დანაშაულობად ჩასთვლის და მუხლ-მოდრეკილი ეხვეწება: მაპატიეთ, რომ ასე საშინლად მოგექეცითო. რა ვქნა, მეც ადამიანი ვარ, მეც გაგიჟებით მიყვარდა ეგ კაცი, დღესაც მიყვარს, დღესაც ვიწვი მაგის სიყვარულითაო, მაგრამ არა მეშველა-რა, თავი ვერ შევაყვარე და ძალადობით ხომ სიყვარული არც იქნებაო. დეე, თქვენ იყავით ბედნიერნი, თქვენ დასტკბით სიყვარულით და მე-კი სამუდამოდ მოვასვენებ ჩემს თავსაო. ამ სიტყვებს შემდეგ ქვრივი აიღებს ექიმის თამასუქებს, ცეცხლში გადისვრის და სვამს საწამლავს. მოდის პოლიციაცა. უკვე მოწამლული ქალი ეუბნება პოლიციას: იმიტომ მოგიწოდეთ, რომ მოვიწამლე; ჩემს სიკვდილს ნურავის ნუ დააბრალებთო. მკურნალი მივარდება მოწამლულს, უნდა უშველოს, მაგრამ შველა ყოვლად შეუძლებელი-ღაა. ასე თავდება დრამა. ყველა სცენაზე მყოფი გაშტერებულია და თავ-ზარ დაცემული. მაყურებელს სული უწუხს და გული სტკივა ამ მძიმე დრამატიულის სცენის ცქერითა.

მდიდარისა და ლამაზის ქვრივის როლი მშვენივრად შეასრულა პავლოვის ქალმა. დიდის ხელოვნებით, დიდის დრამატიზმით გამოჰხატა საშინელი მღელვარება და სულის კვეთება მკურნალისა სამარინმა-ბიხოვეცმა, როცა თამასუქების ქურდობაში დაიჭირა იმისმა წინანდელმა საყვარელმა ქალმა. კარგი იყო ბ-ნი ფორკატიცა სალახანა ადვოკატის როლში.

გუშაგი

## წერილი ქუთაისიდამ

წუხელ ფრიად საყურადღებო სხდომა მოხდა ქუთაისის ქალაქის საბჭოში. წინაწარ ყოვლისა წაკითხულ იყო წინანდელის სხდომის პროტოკოლი, რომელიც მოგვითხრობდა ბ-ნ მიქიაშვილის საბჭოდამ გამორიცხვას შვიდის სხდომისათვის და მისდამი საბჭოსაგან განკიცხვის გამოცხადებას; მიქიაშვილისათვის ერთი სასჯელი არ უკმარებიათ. ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება.

როგორც უკვე მოხსენებული იყო „ივერიაში“, მიქიაშვილი ვერ არის კმაყოფილი ესრედ წოდებულის განათლებულ ხმოსნებისა. იმისის აზრით, იგინი მხოლოდ სალაყბოდ დადიან საბჭოში და საქმეს-კი არა-რას აკეთებენ. მიქიაშვილი სიტყვიერის უკმაყოფილების განცხადებას არ დასჯერდა ამ ჯურის ხმოსნებისადმი; იმან შემოიტანა საბჭოში წესდებითი პროტესტი, რომელშიაც ამბობდა, რომ რაც ეს განათლებულნი ხმოსანნი შემოგვესიენენ საბჭოში, მას აქედ გაჩნდა ყოველ ნაირი ბოროტ-მოქმედებაო. ეს სიტყვები შეურაცხყოფად მიიღო მთელმა საბჭომ და ბ-ნ ანტონ ლორთქიფანიძის წინადადებით, როცა ქალაქის თავმა განმარტა კანონები ამ გვარის შემთხვევის შესახებ, უყარეს კენჭი ბ-ნ მიქიაშვილს და 14 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 6-სა დაადგინეს ის, რაც ზემოდ იყო მოხსენებული.

შემდეგ ცოტაოდენის შენიშვნისა მიქიაშვილის პროტოკოლის შესახებ, ვითომ ბ-ნი ლორთქიფანიძე თავის თავად-კი არ მოქმედობდა ამ საქმეში, ამ დროს ა. ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ არ იყო შემოსული საბჭოში, არამედ ქალაქის თავის სურვილს ასრულებდაო, წაკითხულ იქმნა დანარჩენი ნაწილი პროტოკოლისა. რადგან ეს ნაწილი პროტოკოლისა და თვით გუშინდელი სხდომა ერთსა და იმავე საგანს შეეხება, ამისათვის ერთი საუბარი გვმართებს ორივეზედ.

ორი სხდომა თითქმის სრულიად მოანდომეს სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსმენას.

შარშან ნოემბერში ამოირჩიეს სარევიზიო კომისია, რომლის სული და გული იყო ბ-ნი მიქიაშვილი. კომისიას მიანდეს განსახილველად 83 და 84 წლების შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამ კომისიამ ანგარიშების განხილვის შემდეგ ის აზრი დაასკვნა, რომ დავთრები სრულად ურიგოდ იყვნენ ნაწარმოები, გასამართლებელი საბუთები აკლიათ, გასავალი საკმაოდ არ არის დასაბუთიანებული და ფულიც აკლია რამდენიმე ათასი მანეთიო. გამგეობამ დასწამა ამ კომისიას ანგაარებით მოქმედება, საბუთები სრულადაც არ ყოფილა დაწვრილებით გამოკვლეულიო და სხვა. ამის გამო ამოირჩიეს მეორე კომისია, რომელსაც შეადგენდნენ ბბ. კ. ლორთქიფანიძე, დ. აბდუშელიშვილი და პ. თუმანიშვილი. იმათი მოხსენება შეიცავს შემდეგს: მართლაც რომ დავთრები სრულად უწესურად არის ნაწარმოები და საბუთებიც ზოგი აკლია და ზოგი რიგიანი ვერ არისო. მაგალითებრ, არ არის ყველა იმათი განცხადება, ვისაც შემოუტანია ფული. შესახებ გასავლისა არის ორას თუ მეტის თუმნის უბრალო ანგარიშის ქაღალდები, რომლებზედაც ფულის მიმღებლებს ხელი არ უწერიათ. ამას გარდა 83 წელში ოთხასი მანეთი დაფასებითის შემოსავლისა არსად სწერია კასის წიგნში; ნაცვლად ამისა 84 წელში 99 მანეთი იმავე შემოსავლისა მომეტებული სწერიაო.

კომისია ამბობს: საეჭვო არ არის, რომ ანგარიშის წიგნები ურიგოდ და არა-ჯეროვანის ყურადღებით და მომჭირნეობით უწარმოებიათო. რაც შეეხება გასავალს, არ შეგვიძლიან დავწამოთ გამგეობასაო, რომ იმ საგანზე, რაც მას უჩვენებია, არ დახარჯულიყო ფული, რადგან ნახარჯი ყოველთვის „სმეტებზე“ ნაკლებია ნაჩვენები, და ჩვენ ყველანი ყოველ დღე მოწამენი ვართ, რომ იმ საგნებზე მართლა იხარჯება ფულიო; ამისათვის უნდა შევიწყნაროთ ეს ანგარიშებიო. გამგეობამ მოახსენა ამაზე: მართალია, ვერ დავფარავთ, რომ ისე ვერ არის ნაწარმოები ანგარიში, როგორც სასურველია, მაგრამ თქვენ ჩვენთვის არავითარი ინსტრუქცია არ მოგიციათ და ჩვენც მეტი ვერ მოვახერხეთო. აბა, როგორ მოვაწერინოთ ხელი ყოველ წვრილმან დანახარჯზე უბრალო მუშას და მოხელეს, რომლებმაც წერა არ იციანო! ბოლოს ანგარიში ამ ორის წლისა მიღებულ იქმნა, გარდა ერთის ნაწილისა, სახელდობრ, დაფასებითის შემოსავლისა. ამაზედ ატყდა დიდი ბაასი. ზოგი ამბობდა, რომ ამ დანაკლისის (ოთხასის მანეთის) მიზეზი დაუდევნელობაო; ზოგი-კი ბოროტ-მოქმედებას სწამებდნენ. ამის შესახებ თვით გამგეობამ მოითხოვა საბჭოსაგან განმარტებითის წერილის წარმოდგენა; საბჭომ მიიღო ეს თხოვნა და საქმე კიდევ გადაიდვა 28 ამ თვისათვის.

კარგარეთელი

16 დეკემბერი

## წვრილი ამბები

— ვარშავს, გორონეცკის საათის მაღაზაში, ფანჯარაში გამოფენილია ხის ჯიბის საათი, რომელსაც ჩარხებიც ხისა აქვს გაკეთებული. საათის ზემო სახუ-

---

რაკი ჯერ ხანად ასეთს მდგომარეობაშია ქუთაისის თვით-მმართველობა, საკვირველი აღარ არის, რომ საბჭომ ხელი დაიბანა საზოგადო საქმეებში და თვით ისეთი საგანიც-კი, როგორიც ქუჩების ქვით დაფენაა, მიაგდო სახლის პატრონთა მოთავეობასა და სურვილზე. ამითი საბჭომ აშკარად დაამტკიცა საკუთარი უვიცობა თავის პირდაპირის მოვალეობისა, თავის დანიშნულებისა. საბჭომ არც-კი იფიქრა, რომ თუკი სახლის პატრონები თვითონ ითავებენ და დაჰფენენ ქუჩებში ქვასა, მაშ რაღა საჭირო იყო მათთვის ამორჩეული კაცები, რომელნიც უნდა განაგებდნენ ქალაქის საქმესა. და ნუ თუ უპირველესი საქმე ქალაქის კეთილდღეობისა ქუჩების სისუფთავე და რიგიანი განწყობილება არ არის! თუკი ამისთანა რთულსა და მძიმე საქმეს თვითონ მოქალაქენი ითავებენ და ამას მოანდომებენ თავიანთ დროსა, მაშინ უბრალო და სადა საქმეს ხომ უფრო ადვილად გაუძღვებიან. კარგია კიდევ, რომ ქუთაისის პოლიცია მიეშველა გაჭირებულ მოქალაქეთა და, საბჭოს სასირცხვილოდ, გააკეთა ქუჩები, თორემ რა დღეში იქნებოდა საცოდავი ქუთაისი!.. ასეთი საქციელი ხომ პირდაპირი უარყოფა საკუთარის არსებობისა საბჭოს მხრივ.

მაგრამ რა ქუჩები! აიღეთ თუნდა საქალაქო თეატრი. „თუნუქით ალალბედზე გადაკრულს თეატრის სახურავს წვიმის დროს აუტყდება ისეთი კაკუნი, რომ კაცს აღარ ეთეატრება და ყურები აქვს წართმეული. გათბობა ხომ თეატრს არც უწერია და მოუხერხებელიც არის. სიცივესა და ქარს იქ ვერა იმაგრებს-რა, და ამიტომ ავდარში ბევრი ვერც-კი ჰბედავს თეატრში წასვლასა, რომ არ გაცივდეს. თუმცა გამგეობა ვალდებული იყო მიექცია ამისათვის ყურადღება, მაგრამ გულ-გრილობამ დასძლია“.

მით უმეტეს საკვირველია ასეთი გულ-გრილობა, როდესაც ამ ორიოდე წლის წინად ერთმა ყმაწვილმა კაცმა წინადადება მისცა საბჭოსა—ოღონდ პირობით შემეკარით და საქალაქო მიწაზე უკეთეს თეატრს აგიშენებთო. „მაგრამაო, — ამბობს იგივე მოამბე— საქმე მოინელა საქალაქო გამგეობის კანცელარიამ. ნეტა რად ინება ქუთაისის საბჭომ ახლანდელ თეატრის შეუცვლელი დღეგრძელობა და ბ-ნ ვიტუშინსკის ხელში დატოვება, როდესაც ყველა ჰხედავს, რომ ბ-ნი მეაფთიაქე ისე ეპყრობა ამ სათეატრო შენობას, როგორც საცხვრე ფარეხსა“.

**

ან კი როგორ უნდა გაკეთდეს საქმე იმისთანა საბჭოში, სადაც ბევრი ხმოსანი მარტო სახელის გულისთვის ერევა კენჭის ყრაში. დიდი სახელია, თქვენმა მზემ, უშინაარსო და უაზრო „ღლასნობა“! მაშინ-როდესაც ტფილისში ისეთი საყურადღებო საგნებია წამოყენებული ამორჩეულთა ბეჯითობისა გამო, რომ არა თუ მარტო ხმოსნები ესწრაფვებიან კრებაზე დასწრებას, თვით საზოგადოებაც უკეთეს დროს გატარებას საბჭოს სხდომაზე ეძებს; რომ თვით ქალებიც-კი, ქალები, რომელთაც ჩვენში ჯერ არ გაუღიათ გემო საქვეყნო საქმეთა ცოდნის სიტკბოებისა, დაიარებიან საბჭოს დარბაზში და ყურს უგდებენ საქალაქო საქმეთა მიმდინარეობას. რასაკვირველია, ტფილისის ხმოსანი დღეს იმის მეცადინეობაშია, რომ არამც-და-არამც არ წაუსხლტეს ფეხი და არ ჩავარდეს ქვეყნის ყბაში, მხნეობს, რომ რაც შეიძლება მომეტებული მზრუნველობა გამოუჩინოს ქალაქის კეთილდღეობას და დაიმსახუროს მოქალაქეთა სიყვარული და პატივის-ცემა...

მომავალ იანვარში ქუთაისს უნდა აირჩიონ ქალაქის თავი და ერთი წევრთაგანი გამგეობისა, რადგან იმათ გაუვიდათ ვადა სამსახურისა. ვნახოთ, რითი გათავდება საქმე. ჯერ-ჯერობით-კი მაგდენად სანუგეშო არა ისმის-რა იქიდამა. მართალია, თითო-ოროლა რიგიან კაცებს ასახელებენ, მაგრამ უმეტესი ნაწილი ხმოსანთა ისეთს უპირობენ გამოყვანასა, რომ სწორედ მძიმე მერმისი მოელის ქუთაისსა, თუ მათი სურვილი აღსრულდაო. თუმცა იმასაც-კი ამბობენ, რომ ამა ხმოსანთა ერთმანერთში მორიგება ადვილი არ არის, რადგან ყველას თავისი საკუთარი კაცი ჰყავს ნიშანში ამოღებული და ყველა მათგანის ამორჩევა ხომ არ იქნებაო.

სწორედ განსაცდელის დღე უდგია ქუთაისს წინა. ბ-ნი „იმე!“ ამას წინად მოგვითხრობდა, რომ „მომავალმა არჩევნებმა ბევრს აუშალა აქ საღერღელი. ზოგს ისეთს კაცს ასახელებს ქალაქის ჭორი კანდიდატად, რომ არა მჯერა და მხოლოდ მიკვირს ზოგიერთების თავ-აგდებული გაბედულობა: არა განათლება, არა ცოდნა და გამოცდილება, არა დამსახურებული სახელი და პატივი, არამედ კანონების უკანონო აბრუნდები, ანა-და— ფულების მამასისხლად გასესხება და მანათზე მანათი თუ ათი შაური სარგებელი, მეტი არაფერი... რა საზოგადო მოღვაწეები გიპირობენ პატრონობას, ჩვენო უზრუნველო და უდარდელო ქუთაისო!..“

მაგრამ ნუ დავკარგავთ იმედსა, რომ ქუთაისის ხმოსნები ეხლა მაინც შეიგნებენ თავიანთს მოვალეობას ქალაქისადმი და ეცდებიან ამას იქით მაინც გაიკეთონ პირი საზოგადოების წინაშე, რადგან ეხლა „კანონების უკანონო აბრუნდ - ჩაბრუნდებით“ შორს ეღარ წავა ორ-ფეხა ცხოველი, რომელიც გამსჭვალულია მხოლოდ მგლის ზნე-ჩვეულებითა. ეხლა ამ გზაზე სიარული ძნელად-ღა მოუპოვებს კაცს სახელსა და დიდებას. დღეს ძალიან ადვილი გახდა ხაფანგების დაგება, რითაც ხშირად გააბმენ ხოლმე მგელსა თუ სხვა ნადირს. შეუბღალველ პატიოსნებას მოითხოვს საზოგადო სამსახური და ვინც ამაში ჩირქს მოიცხობს, იმისი გამოთეთრება ზღვის ქვიშითაც შეუძლებელი-ღა იქნება. იანვრის არჩევანით დაგვანახვებს ქუთაისის საბჭო, რამდენადაც იგი ცდილობს შეიგნოს თავისი პირდაპირი მოვალეობა ქალაქის ავ-კარგიანობისადმი და რამდენად ემსახურება ამ მოვალეობასა.

სანო

რაგზედ ამოჭრილია სიტყვები: „მ. ბრონნიკოვები, ვიტკაშა“.

— დირექტორს ვარშავის ერთის დიდის ფაბრიკასას, რომელშიაც დიდ-ძალი მანდილოსნები მუშაობენ, განკარგულება მოუხდენია, რომ მომუშავე-ქალებმა ფაბრიკაში უტიურნიურებოდ იარონ ხოლმეო. ამ აღკრძალვის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მანდილოსნებს ტიურნიურებით ჩუმად საქონელი გააქვთ თურმე.

— „ქელნის გაზეთი“ ამბობს, რომ უკვე დაიწყეს და რაც შეიძლება ეჩქარებიან დამთავრებას ორის ახალის ციხისას კილის ნავთ-საყუდელის დასაცავადაო.

— შვეიცარიაში მშვიდად და წყნარად ამოურჩევიათ ახალი პრეზიდენტი რესპუბლიკისა, გერტენშტეინი. გერტენშტეინი ხელობით ინჟინერია. ჯამაგირად პრეზიდენტს სულ 5.400 მან. აქვს დანიშნული წელიწადში.

— ნიგილისტ-თავადს კრაპოტკინს ამ დღეებში პარიჟში გაუმართავს კრება და ამ კრებაზედ უხსნია ციხეების ზედმოქმედებაზედ, რომლებშიაც რამდენიმე წელიწადი გაუტარებია. ამ კრებაზედ აგრეთვე ფული მოუგროვებიათ ავად გამხდარ ლუიზა მიშელის სასარგებლოდ.

— პრინცესა კლემენტინა კობურგელისას, რომელიც ამ ჟამად სოფიაშია, თან მიუყვანია ორი მსახური-გოგო. ერთს მოსამსახურე-გოგოს ადრე გრაფის პარიჟელის ცოლთან უმსახურნია, მეორეს— დედოფალ ევგენიასთან.

— მეტად საყურადღებო ანდერძის წერილი დაუტოვებია ინგლისის პოდპოლკოვნიკს ნაშს. ამ პოდპოლკოვნიკს ეკლესიის მნათესათვის 100 მან. უანდერძნია იმ პირობით, რომ ამ მნათემ თორმეტის საათის განმავლობაში მწუხარედ დაჰკრას ხოლმე ზარი, იმ დღის სწორს, რა დღესაც პოდპოლკოვნიკმა ცოლი შეირთო და ქორწილი გადაიხადა; თორმეტ საათსაც მხიარულად ჩამოჰკრას ზარებს იმის სიკვდილის დღეს, იმ დღეს, რა დღესაც შინაურის შფოთისა და ჯოჯოხეთისაგან განთავისუფლდიო.

— ამ დღეებში ლეიპციგს ახლო-მახლობში გლეხს უცაბედად მოუკლავს თავისი მეზობელი. ეს თოფი გლეხს ლეიპციგის ბრძოლის ველზედ უპოვნია 1813 წელს, იმ დროდგან სახლში ჰქონია და არა სცოდნია, თუ თოფი გატენილი ყოფილა. თოფი 75 წლის შემდეგ დაცლილა.

— კანზასში მილიონების პატრონს გოპკინსს თავი მოუკლავს. ეს გოპკინსი მონტე-კრისტოსავით აბნევდა თურმე ფულებსა. სექტემბერში გამგზავრებულიყო ევროპის მოსავლელად და თან წაეყვანა განთქმული მოკრივე; რა არის, თუ ვინიცობაა ჩხუბი მოსვლოდა, ეს მოკრივე მიშველებოდა. ცოტა ხანს შემდეგ გოპკინსი დაბრუნებულა ამერიკაში და თან ექვსი ლამაზი ხასა მიუყვანია. გოპკინსის სახლობას ქალები არ მიუღია სახლში და გამოუგდია. ეს ისე სწყენია ახირებულს შეძლებულს კაცსა, რომ დარდით თავი მოუკლავს.

— ერთს ინგლისელს ამას წინად სანაძლეო დაუდვია, რომ ავტოგრაფს მივიღებ პოეტის ტენნისონისაგან, რომელსაც არ უყვარს თურმე, რომ სხვას ვისმე ჩაუგდოს ხელში თავისი ხელ-ნაწერი. შემდეგ ამ ინგლისელს მიუწერია ტენნისონისათვის: „რომელი ლექსიკონი სჯობია—უებსტერისა თუ ოჯილვისაო?“ ასე, ამითი მოვატყუებო,—უფიქრნია ინგლისელს, პასუხს მომწერს უეჭველადაო, ხოლო იმედი გასცრუებია. მეორე ფოსტითვე პასუხი მიუღია. ნახევარ თაბახ ქაღალდზედ დაკრული იყო თურმე თითონ ამ ინგლისელის წერილიდგან ამოჭრილი სიტყვა: „ოჯილვისა“.

# დეპეშა

## 18 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია მინისტრთა კომიტეტის დადგინება იმ ცვლილებათა გამო, რომელნიც უნდა შეიტანონ საზღვარ-გარედ სპირტის გატანის წესში. დაუდგენიათ მიენიჭოს ორის წლის ვადით, საცდელად, ფინანსთა მინისტრს იმის უფლება, რომ არყის სახდელ და სპირტის საწმენდ ქარხნების პატრონებს მისცეს ნება, გაიტანონ საზღვარ-გარედ სპირტი უგირაოდ, რომელსაც დღემდის იძლეოდნენ იმის საბუთად, რომ დროზე შემოიტანდნენ აქციზსა. აქციზის შემოტანისათვის პასუხი უნდა აგოს თვით გამგზავნელმა; რაც გზაში დააკლდება სპირტს, ის უნდა იანგარიშონ იმ წესით, რომელიც დადგენილია 27-ს დეკემბერს 1883-ს წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრისამებრ.

**ბელგრადი.** როგორც ისმის, რისტიჩის მაგიერ მინისტრ-პრეზიდენტად დანიშნული იქმნება ხრისტიჩი.

**ბერლინი.** „National Zeitung“-ი ამტკიცებს, რომ გერმანიის მაღალს წრეებს არამც თუ სურთ ომი, არამედ აზრადაც არა აქვთ. კარგი იქნება, თავადმა ბისმარკმა თქვას თვისი ძლიერი სიტყვა მშვიდობიანობის სასარგებლოდ. საეჭვოა, რომ რუსეთმა საომრად აიძულოს გერმანია და იმისი მომხრენიო. გაზეთის აზრით, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მშვიდობიანობა დარღვეული არ იქნებაო; ეს გარემოება, გაზეთის სიტყვით, მაინცა-და-მაინც ვერ დაამშვიდებს ევროპას, რომელიც დიდი ხანია, რაც მოსვენებას არ მისცემიაო.

## 19 დეკემბერი

**პეტერბურგი.** კალუგის გუბერნატორი ქუკოვი ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

თამასუქების ყალბობის საქმის შესახებ სასამართლომ დაადგინა: ჩამოერთვას ბრალდებულთ განსაკუთრებული უფლებანი და გაგზავნილ იქმნან საცხოვრებლად ბლაგოვი ირკუტსკის გუბერნიაში, კუდრიავცევი, პოლევოი და ნუბლოვიჩი — ტომსკისაში, ხოლო გურნერი და ვილდი დაპატიმრებულ იქმნან „ტუსაღთა როტებში“, პირველი ორის წლით, ხოლო უკანასკნელი-კი წლითა და ნახევრით. ამასთანავე გარდაწყვეტილია იშუამდგომლონ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა დასასჯელთ სასჯელი ამ გვარად შეეცვალოთ: ბლაგოვი და კუდრიავცევი გაიგზავნონ არხანგელსკის გუბერნიაში, პოლევოი-კი დაპატიმრებულ იქმნას ერთის წლით ციხეში. ყალბად ცნობილი თამასუქები უნდა გაბათილამდნენ.

„С.-Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია, ვითომ გადაწყვეტილი იყოს, საგაისოდ განახევარდეს აქამდე იმისათვის გადადებული ჯამი ფულისა, რომ მემამულეთ მცირე სესხად მიეცეთ მიწის შესასყიდველ საქმეებისათვის.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ გადაწყვეტილია მოესპოთ რკინეულობის ქარხნებს 1888 წლიდგან განსაკუთრებული პრემიები და მხოლოდ იმის უფლება-და ჰქონდეთ, რომ სახელმწიფო ბანკიდგან მიიღონ ფული სესხად შემსუბუქებულის პირობებით.

**რომი.** პაპის იუბილეის გამო გუშინ მიულოცეს კარდინალებმა და ზოგიერთა მეფეთა საკანგებო დესპანებმა. ამ დესპანებთა შორის ერია იმპერატორ ვილჰელმის გამოგზავნილი დესპანიცა.

**პეტერბურგის ბირჟა, 18 ს დეკემბერს.**

ფასები:

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | » | — | » | 9 | 19 |
| ტამოჟნის კუპონები | — | » | — | » | 183¼ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | » | — | » | 1 | 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | » | — | » | 275 | |
| — მეორისა | — | » | — | » | 248 | |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | — | » | — | » | 98½ | |
| ქუთაისის ბანკისა | — | » | — | » | 99 | |
| ტფილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა | — | » | — | » | 84 | |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**დეკემბერი 31 დღით არის**

**20 დღე კვირა.** მოწ. ეგნატ ეპისკ. კათოლ. მე-4 კვირა ადვენტისა. სომეხ. ჰ სნაკაცი (ქორწინებათა ნება ეძლევათ). მუსულ. მე-18 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27 ჩადის 4—41. მთვარე 19 დღისაა.

**21 დღე ორშაბათი.** ქალწ.-მოწ. ულიანესი. კათოლ. წმ. მოციქ. თომასი. სომეხ. წმ. აბრაამისა, ხორენისა, კოსმასი და დამიანესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41. მთვარე 20 დღისაა.

**22 დღე სამშაბათი.** დიდ. ქალწ.-მოწ. ანასტასიასი და ხრისოგონისა. კათოლ. 22 და 23-ს დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. მოწ. ასტვაწატურისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7-27, ჩადის 4—42. მთვარე 21 დღისაა.

**23 დღე ოთხშაბათი.** წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა: თეოდულასი და სხვათა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43. მთვარე 22 დღისაა.

**24 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ. მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი შობისა. სომეხ. წმ. დავით წინ.-მეტყვ. და წმ. იაკობ მოციქულისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44. მთვარე 23 დღისაა.


**კერძო განცხადებანი**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე

ШОКОЛАТЪ С. СІУ и Ко (50—4)

**საუნჯე ქართულის ენისა.**

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა-რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 » | 5 „ | 5 „ 25 » |
| 10 „ | 8 „ 75 » | 4 „ | 4 „ 75 » |
| 9 „ | 8 „ — » | 3 „ | 3 „ 5[illegible] » |
| 8 „ | 7 „ 25 » | 2 „ | 2 „ 75 » |
| 7 „ | 6 „ 50 » | 1 „ | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: *Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმას კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

**1888 წლის 1 იანვრიდგან გამოიცემა სამეურნეო გაზეთი**

# „მეურნე“

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთის პროგრამა: 1) მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ; 2) სამეურნეო ეკონომია; 3) ცალკე წერილების საგანი იქნება: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, ბოსტნის მოყვანა, ვენახის გაშენება, საქონლის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოშენება და საზოგადოდ ყოველ გვარი სამეურნეო საგანი; 4) სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება (არხიტექტურა) და მეხანიკა; 5) ბეითალობა (ვეტერინარია) და სოფლის ჰიგიენა; 6) მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები; 7) განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში- 8) სამეურნეო ბიბლიოგრაფია; 9) სოფლის ნაწარმოების ბაზრები; 10) ცნობანი, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვა; 11) მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა; 12) ნარევი; 13) კითხვა-პასუხი; 14) სურათები; 15) გამოსადეგი ადრესები; 16) განცხადებანი, და 17) დამატება, სადაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

მთელის წლის ფასი გაზეთისა 4 მანეთია, ნახევარ წლისა—2 მან. და ათი შაური. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ ამ ფასს უნდა დაუმატონ ფოსტის ფულად წელიწადში 1 მან. და ნახევარ წელიწადში,—ათი შაური.

ვისაც გაზეთის დაბარება ჰსურს, უნდა მიჰმართოს: ტფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას; ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთა—თვითონ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція газеты „Мэурнэ“, на Реутовской ул., д. Сулханова, № 10.

რედაქტორი-გამომცემელი ვასილ სულხანიშვილი.


Доз. цен. Тиф. 19 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.